საქართველოს პროკურატურის

2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

14 მაისი 2019 წელი

სარჩევი

სისხლის სამართლის პოლიტიკა და ზოგადი კრიმინოგენური ვითარება 3

1. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა 3

სისხლისსამართლებრივი დევნა 3

სრულწლოვანთა განრიდება 5

აღკვეთის ღონისძიებები 5

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა 7

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 9

3. პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო ... 13

გამოძიების დაწყება 13

სისხლისსამართლებრივი დევნა 14

განაჩენები 17

სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა 17

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება 17

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები 19

არასათანადო მოპყრობა 20

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 21

პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებები 23

ოჯახური დანაშაული 23

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული 28

ტრეფიკინგი 30

ტერორიზმი 32

ორგანიზებული დანაშაული 33

სამოხელეო დანაშაული 34

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია 37

პროკურორთა პროფესიული გადამზადება და განვითარება 38

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება 38

ადამიანური რესურსები 44

საკონსულტაციო საბჭო 45

გენერალური ინსპექცია 46

წარმოგიდგენთ საქართველოს პროკურატურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს.

სისხლის სამართლის პოლიტიკა და ზოგადი კრიმინოგენური ვითარება

1. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა

<u>სისხლისსამართლებრივი დევნა</u>

2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16820 პირის მიმართ, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 6.5%-ით.

2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 126[1] და 260-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე:

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით
(2018 წელი)



წინა წელთან შედარებით სისხლისსამართლებრივი დევნა 177-ე, 126[1] და 260-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან ერთად ასევე გაზრდილია 118-ე, 151-ე, 178-ე, 182-ე, 214-ე, 238[1]-ე, 239-ე, 344-ე, 362-ე, 262-ე და 265-ე მუხლებზე.

სრულწლოვანთა განრიდება

სრულწლოვანთა განრიდების მექანიზმი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2011 წლის 21 ივნისს დაინერგა, ხოლო 2012 წლიდან პროკურორების მიერ აქტიურად გამოიყენება, როგორც პასუხისმგებლობის ალტერნატიული ღონისძიება.

2015-2018 წლებში განრიდება ძირითადად გამოყენებული იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის, არაძალადობრივ დანაშაულთა ჩამდენი სრულწლოვნების (21 წლის ზემოთ ასაკის) მიმართ. განრიდების გამოყენებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულის ჩამდენის პიროვნული მახასიათებლები და სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს. აღსანიშნავია ისიც, რომ განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, ასევე, ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენამ გამოიწვია მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი.

არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გათვალისწინებით, როგორც წესი, ოჯახური დანაშაულის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე განრიდების მექანიზმი არ გამოიყენება. უფრო კონკრეტულად კი, 2018 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე მხოლოდ ერთი პირი განრიდდა, ხოლო 126[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე აღნიშნული მექანიზმი არ გამოყენებულა.

საერთო ჯამში 2018 წელს განრიდდა 1493 პირი.

აღკვეთის ღონისძიებები

პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორთა მიერ ყველა შემთხვევაში არ ხდება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნა შემდეგ მიზეზთა გამო: ნაწილთან ამ ეტაპზევე ფორმდება საპროცესო შეთანხმება, ხოლო ნაწილის მიმართ არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის

საპროცესო საფუძველი. 2018 წელს დევნადაწყებულ პირთა 54%-ის მიმართ იქნა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება.

რაც შეეხება პროკურორთა მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნას, 2018 წელს მისი გამოყენება მოთხოვნილი იქნა დევნადაწყებულ პირთა 29,8% -ის მიმართ.

უნდა აღინიშნოს რომ ძალადობრივი დანაშაულისათვის ბრალდებული პირების მიმართ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. კერძოდ, სსკ-ის 108-ე (მკვლელობა), 109-ე (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 117-ე (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და 179-ე (ყაჩაღობა) მუხლებით ბრალდებულ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით ხდება პატიმრობის მოთხოვნა. 2018 წელს სასამართლოში წარდგენილი აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობები, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 19-108-ე, 19-109-ე მუხლებთან, პროკურორების მიერ ყველა შემთხვევაში მოთხოვნილი იქნა პატიმრობა. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობებიდან 2018 წელს 99%-ის მიმართ მოთხოვნილი იქნა პატიმრობა. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლს, 2018 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 91%-ის მიმართ. ზემოაღნიშნულ მუხლებზე პატიმრობის მოთხოვნა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასამართლოს მიერ კმაყოფილდება.

ბოლო წლებში შემცირებულია დევნადაწყებული პირების მიმართ საპატიმრო გირაოს მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელიც. კერძოდ, 2018 წელს გირაო მოთხოვნილ იქნა 6,5% შემთხვევაში.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელს, 2018 წელს პატიმრობა შეეფარდა დევნადაწყებულ პირთა 22,8%-ს, რაც 2017 წლის მონაცემებთან შედარებით ზრდის მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მატების ძირითადი მიზეზი ოჯახურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის ზრდის ტენდენციაა.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორების მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია პროკურორთა მიერ დაყენებული შუამდგომლობების 84,9%, რაც ასევე 2017 წელთან შედარებით ზრდის ტენდენციის მაჩვენებელია.

რაც შეეხება პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2018 წელს სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების საშუალოდ 76,5%.

ამდენად, უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი 2018 წელს გაზრდილია როგორც ზოგადად აღკვეთის ღონისძიებების, ასევე პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი. აღნიშნული განპირობებულია აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით პროკურატურის სისტემაში შემუშავებული რეკომენდაციით (რომლის განახლება მუდმივად მიმდინარეობს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და კრიმინოგენული ვითარების მხედველობაში მიღებით) და პროკურორთა მუდმივი გადამზადებით, რამაც გაზარდა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხი. 2017 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის ევროკავშირის პროექტის დახმარებით, სამართლებრივი მართლწერის თემაზე სწავლება გაიარა 197-მა პროკურორმა და პროკურატურის სტაჟიორმა. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დასაბუთებაზე. 2018 წელს კი უკვე გამოჩნდა შედეგი გატარებული ღონისძიებებისა. კერძოდ, 76,5%-ით პატიმრობის დაკმაყოფილება, რაც 1,9%-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს.

<u>სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა</u>

2018 წელს პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოებმა განიხილეს 16 343 პირის ბრალდების საქმე, რაც აღემატება პროკურორების მიერ 2017 წელს იგივე ინსტანციის საერთო სასამართლოებში წარმართული ბრალდების საქმეების ჯამურ რაოდენობას.

2018 წელს გასამართლებული 16 343 პირიდან 65,8%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 34,2%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული.

2018 წელს გაზრდილია გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელიც. კერძოდ, გაიზარდა პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებელი არსებითი განხილვის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემცირების პარალელურად. 2018 წელს პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 57.4% შემთხვევაში, ხოლო არსებითი განხილვის სხდომაზე 28.2% შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების ადრეულ ეტაპზევე გაფორმება და ამის საფუძველზე დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და ზოგავს როგორც პროკურატურის, ასევე სასამართლო სისტემის ძალიან დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს. ამასთან, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას დაზარალებული აღარ არის ვალდებული გამოცხადდეს სასამართლო პროცესზე და ჩვენების მიცემისას კიდევ ერთხელ განიცადოს დანაშაულის შედეგად მიღებული სტრესი.

2018 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან, ბრალდებულთა 8,5%-ის მიმართ (477 პირი) სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 3,4%-ის მიმართ (192 პირი) - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

2018 წელს გამამართლებელი განაჩენების დიდი ნაწილი გამოტანილ იქნა ოჯახურ (სსკ-ის 126[1] მუხლი) და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ (სსკ-ის 177-ე მუხლი) დანაშაულებზე, კერძოდ, სსკ-ის 126[1]-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ საქმეზე გამართლდა 123 პირი, ხოლო ქურდობის ფაქტზე - 30 პირი.

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი 2018 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია. კერძოდ, 2018 წელს ჯარიმა გამოყენებულ იქნა 47.7%-ის შემთხვევაში.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის ოდენობას, 2018 წელს გამოყენებული ჯარიმების ჯამური რაოდენობა 19 886 587 ლარს შეადგენს, რაც წინა წელთან შედარებით ზრდის მაჩვენებელია.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 2018 წელს გამოყენებულ იქნა 16.5% შემთხვევაში, ხოლო საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა 2018 წელს გამოყენებული იქნა ბრალდებულთა 18,4%-ის მიმართ, რაც წინა წელთან შედარებით ზრდის მაჩვენებელია.

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2015 წელს მიღებული იქნა და 2016 წლიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის თანახმადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დაინერგა სპეციალიზაციის სტანდარტი. განრიდება-მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნებთან ერთად შეეხო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გაკეთდა მკაფიო ჩანაწერი, რომ პროკურორმა არასრულწლოვნის მიმართ უპირატესად უნდა განიხილოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა. 2010 წლიდან დღემდე მუდმივად მზარდია განრიდების მაჩვენებელი. განრიდების რაოდენობის ზრდასთან ერთად კი გაუმჯობესებულია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების პროცედურებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხარისხი და მაქსიმალურად უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მიმართ შემჭიდროებულ ვადებში გადაწყვეტილების მიღება.

2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა 497 არასრულწლოვნის და 18-დან 21 წლამდე ასაკის 400 პირის მიმართ, რაც არასრულწლოვნების შემთხვევაში 2017 წელთან შედარებით ზრდის მაჩვენებელია.

2016 წლიდან განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა ბევრად აღემატება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ არასრულწლოვანთა რაოდენობას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, განრიდების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო. 2018 წელს დანაშაულის ჩადენაში მხილებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 59% დაექვემდებარა განრიდებას. ის არასრულწლოვნები, კი რომელთა მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითად შემთხვევაში არ აკმაყოფილებდნენ განრიდების პირობებს. კერძოდ, 351 დევნადაწყებული არასრულწლოვანიდან 83 წარსულში განრიდებული იყო, 74 - ნასამართლევი, 13-ს ჩადენილი ჰქონდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, ხოლო 14 არასრულწლოვანი არ აღიარებდა დანაშაულს.

არასრულწლოვანთა განრიდების რაოდენობის ზრდის პარალელურად, 2018 წელს მნიშვნელოვნად არის შემცირებული განრიდების გამოყენებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2018 წელს განრიდებამდე

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 34 არასრულწლოვნის მიმართ, რაც განრიდებულთა საერთო რაოდენობის 7%-ს შეადგენს.

2017 წელთან შედარებით 2018 წელს შემცირებულია მძიმე დანაშაულზე განრიდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში, კერძოდ, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 497 არასრულწლოვნიდან 199-ს წარმოადგენს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 40%-ია.

2018 წელს განრიდება უმეტესად გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. აღნიშნულ პერიოდში განრიდებული 497 არასრულწლოვნიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 342 პირს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 69%-ს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ტენდენცია გასული წლების მსგავსია - 2015-2017 წლებშიც განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ უმეტესად სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული იყო ჩადენილი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურა ახორციელებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მუდმივ მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ პროკურორები არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწვეტილებას დროულად იღებენ, დაბალია სასამართლოდან საქმეთა განრიდების მიზნით დაბრუნების მაჩვენებელი - 2018 წელს განრიდებული 497 არასრულწლოვნიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 29 შემთხვევაში დაბრუნდა.

განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევა და განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელია. 2018 წელს განრიდების ხელშეკრულების დარღვევის 38 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც განრიდებულთა საერთო რაოდენობის 8%-ს წარმოადგენს. ხელშეკრულების დარღვევის 38 შემთხვევიდან 8 შემთხვევაში (2%) არასრულწლოვანმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული, ხოლო დანარჩენმა 30-მა (6%) სხვაგვარად დაარღვია ხელშეკრულება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტარტეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 2010-2018 წლებში

განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის კვლევა. კვლევის შედეგად რეციდივის მაჩვენებელი ასეთია: 2010-2018 წლებში განრიდებული 2473 არასრულწლოვნიდან განმეორებითი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 328-ს (13%). აქედან დადგენილების გამოტანიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე განმეორებითი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 4 (0,1%) არასრულწლოვანს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში - 54 (1,9%) არასრულწლოვანს, ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგ - 270 (11%) არასრულწლოვანს. 2010-2018 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 1, 2 და 3 წლის მანძილზე შემდეგია: 4%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 112) ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველ ერთ წელში; 7%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 178) - ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველ 2 წელში; 9%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 223) - ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველ სამ წელში.

არასრულწლოვანთა მიმართ ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება აისახა ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელზეც. კერძოდ, 2018 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა არასრულწლოვანთა 8.3%-ის მიმართ, რაც 2017 წელთან შედარებით კლების მაჩვენებელია.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენებას, 2018 წელს სასამართლოს მიერ პატიმრობა შეეფარდა არასრულწლოვანთა 7%-ს.

განაჩენებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 2018 წელს განაჩენი გამოტანილ იქნა 181 არასრულწლოვნის მიმართ, აქედან გამართლდა მხოლოდ 9 არასრულწლოვანი.

2018 წელს გასამართლებული 181 არასრულწლოვანი პირიდან 53%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 47%-ის მიმართ საქმე არსებითი განხილვით დასრულდა.

2016-2018 წლებში ნაკლებად იქნა გამოყენებული საპროცესო შეთანხმების პირობად თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. მაგალითად, 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იყო 2,4%, რაც 2017 წელთან შედარებით კლების მაჩვენებელია.

2018 წელი მნიშვნელოვანი იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შემუშავებული იქნა ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფცია,

რომლის საფუძველზეც რუსთავის რაიონულ პროკურატურაში შეიქმნა ბავშვზე მორგებული გარემო. ბავშვზე მორგებული გარემო ეტაპობრივად დაინერგება პროკურატურის სხვა სტრუქტურულ ერთეულებშიც.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფის, ხარვეზების გამოსწორების და უწყებათაშორის კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ რეგიონულ დონეზე შექმნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელშიც პროკურატურის წარმომადგენელებთან ერთად ჩართულნი არიან სასამართლოს, იურიდიული დახმარების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები. 2018 წელს ყველა რეგიონში (აჭარა, დასავლეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების ორგანიზებით ჩატარდა არასრულწლოვანთა საკოორდინაციო მექანიზმის სხდომები, სადაც უწყებების მიერ მოხდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტუალურ საკითხებზე, პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე ინფორმაციის გაცვლა. ასევე, არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პროკურორებმა, საქართველის იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან, მედიატორებთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ პროფესიონალთა შორის კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობის, პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და განრიდების პროგრამასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, სამუშაო შეხვედრები გამართეს რეგიონებში.

არასრულწლოვანთა სპეციალიზებული პროკურორების საქმიანობის ხარისხის მონიტორინგის სრულყოფის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ადგილობრივი ექსპერტის მონაწილეობით შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომელის საფუძველზეც მონიტორინგის არსებულ მექანიზმს დაემატა რამდენიმე მიმართულება, რაც მეტად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა ეფექტიან მონიტორინგს სისხლის სამართლებრივი დევნის, განრიდებისა და დაზარალებულ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით.

3. პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

<u>გამოძიების დაწყება</u>

საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამოძიებო ორგანომ, 2018 წელს გამოძიება დაიწყო 903 სისხლის სამართლის საქმეზე.

2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 144^1-ე და 144^3-ე (წამება და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 194-ე (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია), 126-126^1-ე (ძალადობა და ოჯახში ძალადობა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) და 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით.



<u>სისხლისსამართლებრივი დევნა</u>

2018 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო 139 პირის მიმართ.

2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 126-ე- 126[1]-ე (ძალადობა და ოჯახში ძალადობა), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), 339-ე (ქრთამის მიცემა), 150-ე, 151-ე და 151[1] -ე (მუქარა, იძულება და ადევნება) და 182-ე (მითვისება-გაფლანგვა) მუხლებით.



განრიდების მექანიზმი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაინერგა 2011 წლიდან. განრიდების მექანიზმის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის ჩამდენის პიროვნული მახასიათებლები და სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს.

2018 წელს განრიდების მექანიზმი გამოყენებული იქნა 52 პირის მიმართ. განრიდებული 52 პირიდან 17 იყო მოხელე. განრიდების მექანიზმი გამოყენებული იქნა ძირითადად შემდეგ მუხლებზე: 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) 15 პირი, 180-ე მუხლი (თაღლითობა) 11 პირი, 120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) 10 პირი, 276-ე მუხლი (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) 7 პირი და 341-ე მუხლი (სამსახურებრივი სიყალბე) 6 პირი.



აღსანიშნავია, რომ 2018 წელს დევნადაწყებული 139 პირიდან 65 მათგანი (49,2%), დანაშაულის ჩადენის დროს სხვადასხვა რანგის მოხელე იყო. მათ შორის დევნის დაწყების დროს 44 პირი (66%) იკავებდა დაკავებულ თანამდებობას. 2018 წელს, წინა წლების მსგავსად დევნადაწყებული საჯარო მოხელეების 64%-ს წარმოადგენენ პოლიციელები. 2018 წელს მოხელეების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უმეტეს შემთხვევაში (63%) დაიწყო 2017-2018 წლებში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე.

მოხელეების მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად შემდეგი მუხლებით არის დაწყებული:



<u>**განაჩენები**</u>

2018 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 190 პირის მიმართ, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 11 პირის მიმართ. 2018 წელს გამოტანილი გამამართლებელი 11 განაჩენებიდან 6 განაჩენი გამოტანილი იქნა ოჯახური დანაშაულისთვის.

სამართალწარმოების პროცესში

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

<u>**იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება**</u>

2018 წელს გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 24 ფაქტი და დაზარალებულად იქნა ცნობილი 32 პირი, რომელთაც საქართველოს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ დაახლოებით 2 047 984 ლარის ღირებულების ქონება.

მათ შორის:

- ✓ 28 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 1467183 მ ^{2}.;
- ✓ 4 ავტომანქანა;
- ✓ 267მ ^{2}. კომერციული ფართი.

2018 წელს საქართველოს პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 14 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. მათ შორის 6 მსჯავრდებული ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებშიც მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამორიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულები იყვნენ. ამავე პერიოდში, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი 40 პირის მიმართ, რომელთაგანაც 12 ატარებდა პოლიტპატიმრის, 1 კი პოლიტდევნილის სტატუსს.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2015-2018 წლებში გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 170 ფაქტი და მხილებული იქნა 45 საჯარო მოხელე, რომელთაგან 29-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებული იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება; 4 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 12 პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა. დეპარტამენტის შექმნიდან დაზარალებულად იქნა ცნობილი 254 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ დაახლოებით **49 770 717 ლარის** ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. მათ შორის :

- ✓ 80 ერთეული ავტომანქანა;
- ✓ 133 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 2 122 339 მ$^{2;}$
- ✓ 6 საცხოვრებელი ბინა;
- ✓ 2 აგარაკი;
- ✓ საოფისე და კომერციული ფართები;

- ✓ ,,აკურას“ ღვინის ქარხანა;
- ✓ გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსი;
- ✓ შოვის პანსიონატის ტერიტორია;
- ✓ 2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილება გახდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის ეფექტიანი და სამართლებრივად სწორი მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2016-2018 წლებში საქართველოს პროკურატურამ 65 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, მათგან 17 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს. 57 პირის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, დანარჩენ მსჯავრდებულებზე კი გრძელდება საქმის განხილვა.

<u>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები</u>

2018 წლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებიდან (განჩინებების და გადაწყვეტილებების სახით) საქართველოს პროკურატურას ღონისძიებების გატარება 1 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების მიზნით დაევალა.

2018 წლის ბოლოსთვის საქართველოს პროკურატურაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით გამოძიება მიმდინარეობდა სულ 28 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობას ექვემდებარება 18 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა შორის მოიაზრება ყველაზე პრობლემური და რთული კატეგორიის ე.წ. „ცინცაბაძის ჯგუფის“[1] საქმეები.

2018 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში გამოძიება დაწყებულ ან/და განახლებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ.

[1] ,,ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეები აერთიანებს 2012 წლამდე ჩადენილ, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, ძალადობრივ დანაშაულებზე მიღებულ 11 განჩინებასა და 6 გადაწყვეტილებას, მათ შორის ძირითადად დადგენილ იქნა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების არსებითი და პროცედურული ნაწილის დარღვევები. 2017 წლის 19-21 სექტემბრის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე „ღარიბაშვილის ჯგუფიდან“ დაიხურა საქმე - „ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის შემდგომაც ამავე ჯგუფს ეწოდება „ცინცაბაძის ჯგუფი“.

2018 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში ჩატარებული გამოძიების შედეგად განაჩენი გამოტანილი იქნა 10 პირის მიმართ.
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2014-2018 წლებში გადაისინჯა ეროვნული სასამართლოების მიერ სხვადასხვა საქმეზე 6 პირის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, საიდანაც 5 პირის მიმართ დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო ერთი პირის მიმართ ძალაში დარჩა გამამტყუნებელი განაჩენი.

<u>არასათანადო მოპყრობა</u>

საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილებში არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ იწყება გამოძიება და შემჭიდროვებულ ვადებში ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება.

2018 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაუმჯობესდა სტატისტიკის მოდული, რომელმაც შესაძლებელი გახადა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა. კერძოდ, გაიმიჯნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომლებისა და კერძო პირების მიერ ჩადენილი წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტების აღრიცხვა. პერიოდულად ხდება მიღებული სტატისტიკური მონაცემების სიღრმისეული ანალიზი და პროაქტიულად ქვეყნდება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე. 2018 წელს პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის შესახებ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის ანგარიში.
2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 პირის მიმართ. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პოლიციის 12 (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით) და პენიტენციური დეპარტამენტის 3 თანამშრომლის მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლით). 2013-2017 წლებში კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 144 პირის მიმართ.

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2018 წელს განხორციელდა 2 ტრენინგი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. სასწავლო კურსის შედეგად გადამზადება გაიარა 45-მა პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, 2018 წლის მაისში ძალაში შევიდა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი. კერძოდ, ცვლილება განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ცვლილების თანახმად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი გახდა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე სუბიექტი და აღიჭურვა არა ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციით: მოწმისა და დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით, კოორდინატორები ესწრებიან დაზარალებულის/მოწმის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებსა და სასამართლო პროცესებს, აწვდიან ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის შესახებ, ეხმარებიან მათთვის არსებული სერვისებით სარგებლობაში (იქნება ეს თავშესაფრით უზრუნველყოფა, სამედიცინო და იურიდიული დახმარება თუ ხელშეწყობა დასაქმებასა და სხვა პიროვნული და პროფესიული უნარების გაძლიერებაში).

საკანონმდებლო ცვლილების პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ, სადაც დეტალურად გაიწერა კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები, საქმეში ჩართვის პროცედურები და საქმეთა კატეგორიები, რომლებშიც კოორდინატორის ჩართვა პრიორიტეტულია. სახელმძღვანელოს გაცნობისა და ერთიანი პრაქტიკის დანერგვისთვის, გაიმართა სამუშაო შეხვედრა კოორდინატორებთან და ყველა იმ სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელთან, სადაც ფუნქციონირებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.

უკვე მეორე წელია, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებითა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, ტარდება „დაზარალებულთა უფლებებისადმი მიძღვნილი კვირეული“, რომელიც მიზნად ისახავს დაზარალებულთა უფლებებისა და კოორდინატორის სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობას. 2018 წლის კვირეული მიეძღვნა კიბერ-ბულინგის თემას. კოორდინატორებისა და პროკურორების მონაწილეობით საქართველოს 8 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, თელავი, რუსთავი, ახალციხე, გორი) ჩატარდა 26 ღონისძიება. მათ შორის: შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მოეწყო კიბერ-ბულინგის შესახებ ფილმის ჩვენება და განხილვა სკოლის მოსწავლეებთან, ბათუმის ბულვარში

გაიმართა ველო მარათონი სლოგანით - „არ დაჩაგრო, ემეგობრე!“ კიბერ-ბულინგის თემაზე ჩატარდა არტ-ნამუშევრების კონკურსი. კონკურსისთვის წარმოდგენილი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო ქალაქ ბათუმში. საუკეთესო ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით, რომელიც შედგება თბილისსა და რეგიონების მასშტაბით მომუშავე 19 კოორდინატორისაგან, ისარგებლა 9292-მა პირმა (დაზარალებულმა, მოწმემ, განმცხადებელმა).

2018 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მოწმეებსა და დაზარალებულებს:



მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ 2018 წელს განხორციელდა 17597 აქტივობა. მოწმეების და დაზარალებულების საჭიროების გათვალისწინებით, კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად განახორციელეს გამოძიებასთან ან/და პროცესთან დაკავშირებული შემდეგი აქტივობები:



პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები

<u>ოჯახური დანაშაული</u>

საქართველოს პროკურატურისთვის კვლავ პრიორიტეტს წარმოადგენს ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ასევე აისახება მსხვერპლთა მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვიანობის გაზრდაშიც. 2018 წელს ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით

დევნა დაიწყო 3955 პირის მიმართ, რაც გასულ წელთან შედარებით 99%-იანი ზრდის მაჩვენებელია.

პროკურატურის მიერ ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ კვლავ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. გაზრდილია პროკურორთა მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი. კერძოდ, ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობებიდან 2018 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 91%-ის მიმართ, რაც 2017 წელთან მიმართებაში ზრდის მაჩვენებელია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შემცირდა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი. 2018 წელს საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ოჯახური დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა 12%-ის მიმართ, რაც 2017 წელთან შედარებით მკვეთრად კლების მაჩვენებელია.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით, ოჯახური დანაშაულის პრევენციის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მთელი რიგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა. მათ შორის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობის და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანად განხორციელების მიზნით პროკურორთა და გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად, პროკურატურის სისტემაში სპეციალიზაციის მიმართულება 2016 წლიდან დაინერგა, თუმცა, 2018 წელს ამ მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კერძოდ, საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ გამოცემული იქნა 2018 წლის 20 თებერვლის ბრძანება პროკურატურის ორგანოებში ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ. საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით განისაზღვრა საქართველოს პროკურატურის გამომძიებელთა და პროკურორთა სპეციალიზაციის წესი სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] (ოჯახში ძალადობა) და 11[1] (ოჯახური დანაშაული) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე. ბრძანება ძალაში შევიდა 2018 წლის 1 მაისს. აღნიშნული ბრძანების თანახმად, პროკურატურის ორგანოებში ოჯახური დანაშაულის

სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანად განსახორციელებლად, ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ასევე, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე უფლებამოსილებას ახორციელებენ ის პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები, რომლებმაც ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს.

2018 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი და დევნის დაწყების საერთო მაჩვენებლის 1/3 შეადგინა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობის გაზრდა. 2018 წლის განმავლობაში სპეციალიზაციის 3 კურსი გაიარა 124-მა პირმა, ხოლო 2019 წლის თებერვალში გადამზადება გაიარა და სპეციალიზაციის სერტიფიკატი მიენიჭა დამატებით 31 პროკურორს და გამომძიებელს, რამაც საერთო ჯამში 155 სპეციალიზებული პირი შეადგინა, მათ შორის არის 140 პროკურორი და 15 გამომძიებელი.

2018 წელს კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლება ოჯახური დანაშაულის მიმართულებით. ამ მიზნით, 2018 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე პროკურორების და პროკურატურის სისტემის გამომძიებლების 2 ჯგუფი გადამზადდა. სასწავლო პროგრამა, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა, ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად, ძალადობის შედეგად დაზარალებულებთან სწორი კომუნიკაციის უნარებსა და ფსიქოლოგიურ ასპექტებს მოიცავდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი და ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო მუდმივად ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგს და ყოველწლიურად აანალიზებს არსებულ მდგომარეობას. მონიტორინგის საფუძველზე იგეგმება რეკომენდაციების განახლება, პროკურორთა და გამომძიებელთა გადამზადების საჭიროებების განსაზღვრა. მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება ექცევა გაჭიანურების გარეშე ტარდება თუ არა გამოძიება აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე, დროულად

მიიღება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, აგრეთვე, სრულდება თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] და 126[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ რეკომენდაცია, კერძოდ, ყურადღება ექცევა გამოძიების დროულად და სწორი კვალიფიკაციით დაწყებას, გამოძიების ჩატარების ხარისხს, საჭირო საგამოძიებო მოქმედებების ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე ჩატარებას, დაზარალებულად ცნობისა და დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღების საკითხს. გარდა აღნიშნულისა, სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში, ამ კატეგორიის საქმეებზე ყურადღება ექცევა აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებას და საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის საკითხს. სასამართლო პრაქტიკისა და ტენდენციების პროკურორებისთვის გაცნობის მიზნით, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ გაანალიზდა ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - განაჩენები და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინებები და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი, რაც გაეგზავნათ პროკურორებს.

2018 წლის 27 ნოემბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებისა და გამოწვევების შესაჯამებლად კონფერენცია გაიმართა. შეხვედრას სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე პროკურატურამ ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციების, მიღწევებისა და გამოწვევების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის შესახებ წლის ანგარიში წარადგინა. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს მოძალადეთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის, ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით განხორციელებული აქტივობებისა და დასაგეგმი პრევენციული ღონისძიებების საკითხები.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 29 ნოემბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში ჩატარდა შეხვედრა სპეციალიზებულ პროკურორებს და ევროპის საბჭოს ექსპერტს - ჯონ ვადჰამს შორის, რა დროსაც განხილული იქნა ოჯახში ძალადობის შესახებ მოქმედი რეკომენდაციის ირგვლივ ექსპერტის მიერ მომზადებული კვლევა. ოჯახურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ექსპერტის მოსაზრებების და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, იგეგმება მოქმედი რეკომენდაციის განახლება.

2018 წლის 30 ნოემბერს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე დახურული სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ სპეციალიზებული პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები. შეხვედრის ძირითადი თემა იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ სტამბოლის კონვენციის განხორციელების პროცესში არსებული გამოწვევების შესახებ მსჯელობა. შეხვედრაზე გამართული დისკუსიის ფარგლებში მონაწილეებმა ისაუბრეს არსებულ მიდგომებზე, გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ოჯახური დანაშაულის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კორდინატორის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით. 2018 წელს გაიზარდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციები. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებით მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი გახდა პროცესის მონაწილე და აღიჭურვა მნიშვნელოვანი ფუნქციებით, მათ შორის, მოწმის ან დაზარალებულის მონაწილეობით მიმდინარე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე დასწრებისა და ამ მოქმედებების განმავლობაში, მათი ემოციური მხარდაჭერის ფუნქციით. კოორდინატორის ჩართვა პრიორიტეტულად ხდება ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საქმეებში, სადაც დაზარალებული ობიექტურად საჭიროებს დახმარებას. კოორდინატორის ჩართვის მიზანია ამ კატეგორიის საქმეებში მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერა და გაძლიერება, სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.

2018 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში და ესპანეთის სამეფოში განხორცილდა სასწავლო ვიზიტები, სადაც საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები გაეცნენ აღნიშნული ქვეყნების პრაქტიკას ოჯახში ძალადობის მიმართულებით.

2018 წელს ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ოჯახში ძალადობის თემაზე სპეციალიზებული პროკურორებისთვის ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა 2 სასწავლო კურსი - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ბრძოლის თემაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სწავლება ერთობლივად გაიარეს საქართველოს პროკურატურის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა. მათ შორის 32 პროკურორმა და 10 გამომძიებელმა.

2018 წელს პროექტ ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში პროკურორებმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ 241 შეხვედრა გამართეს საქართველოს ყველა რეგიონში.

აღსანიშნავია ასევე, რომ სახალხო დამცველმა 2018 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშში, ცალსახად მიუთითა, რომ გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენისა და დამცავი ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი, რაც, უკავშირდება საქართველოს პროკურატურის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეფექტიან მუშაობას.

<u>სიძულვილით მოტივირებული დანაშაული</u>

2018 წელს, წინა წლების მსგავსად, საქართველოს პროკურატურისთვის კვლავ პრიორიტეტული იყო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. სისხლის სამართლის საქმეებში გაიზარდა სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა.

საქართველოს პროკურატურაში 2018 წელს განხორციელდა სპეციალიზაცია, შეირჩნენ პროკურორები, რომლებმაც გაიარეს გადამზადების ინტენსიური კურსები და იმუშავებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე. პროკურორთა სპეციალიზაცია ამ მიმართულებით, 2019 წელსაც გაგრძელდება და საქართველოს პროკურატურის ყველა ტერიტორიულ დანაყოფს მოიცავს.
2018 წელს სიძულვილის მოტივის შესწავლა მიმდინარეობდა 210 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. კერძოდ,

- ✓ სექსუალური ორიენტაციის ნიშანი შესწავლილ იქნა - 28 სისხლის სამართლის საქმეში;
- ✓ გენდერული იდენტობა - 29 საქმეში;
- ✓ სქესის/გენდერის ნიშანი - 112 საქმეში;
- ✓ ეროვნული ნიშანი - 6 საქმეში;
- ✓ ეთნიკური ნიშანი - 2 საქმეში;
- ✓ რასა - 2 საქმეში;
- ✓ რელიგიური ნიშანი - 23 საქმეში;
- ✓ პოლიტიკური შეხედულება - 4 საქმეში;
- ✓ შშმ - 3 საქმეში;
- ✓ სხვა ნიშანი - 1 საქმეში.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 151 პირის მიმართ. მათგან, 15 პირს ბრალდება წარედგინა - სექსუალური ორიენტაციის ნიშნით; 12 პირს - გენდერული იდენტობის ნიშნით; 1 პირს - ეთნიკური ნიშნით; 1 პირს - რასის ნიშნით; 3 პირს - ეროვნული ნიშნით; 2 პირს - რელიგიის ნიშნით; 111 პირს - გენდერის/სქესის ნიშნით; 3 პირს - პოლიტიკური შეხედულების ნიშნით; 2 პირს - შშმ პირის ნიშნით; ხოლო 1 პირს - სხვა ნიშნით.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებმა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში განიხილეს. კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა ანალიზი 2016-2018 წლებში ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2018 წელს საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე აქტიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია სექსუალური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების თაობაზე.
აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო განსაზღვრულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ODIHR-ის წარმომადგენლად საქართველოში და საქართველოს სახელით ყოველწლიურად აგროვებს სტატისტიკას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ, 2018 წელს ვენაში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაზე პოზიტიურად შეფასდა საქართველოს პროკურატურის მიერ გადადგმული ნაბიჯები და წინა წლებთან შედარებით სისხლისსამართლებრივი დევნის 67%-ით გაზრდილი მაჩვენებელი.
2018 წელს, საქართველოს პროკურატურის 102-მა პროკურორმა და გამომძიებელმა გაირა სწავლება დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემაზე. აღნიშნული სასწავლო პროცესის მიზანი პროკურორების საქმიანობაში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობაა.

2018 წელს პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისათვის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების თემაზე ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელშიც 65 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი მონაწილეობდა.

ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების თემაზე 2018 წელს განხორციელდა ტრენინგი, რომელშიც პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად ჩართულნი იყვნენ ჟურნალისტები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. ტრენინგში საქართველოს პროკურატურისა და სხვადასხვა მედია საშუალებების 35-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

<u>ტრეფიკინგი</u>

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველს პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2018 წლის 28 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ანგარიში მსოფლიოს მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ. საქართველო წინა წლების მსგავსად, კვლავ ინარჩუნებს პირველ კალათაში ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მუდმივ რეჟიმში აგრძელებს თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველო აგრძელებს მტკიცე, შეუქცევად და მდგრად ძალისხმევას ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველო რეგიონისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთადერთი ქვეყანაა, რომლიც ტრეფიკინგთან ეფექტიანი ბრძოლის კუთხით პირველ კალათაშია ევროკავშირის ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიცაა: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჩეხეთი, ესპანეთი, შვედეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, დანია, პორტუგალია და სხვა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში პოზიტიურად ფასდება, როგორც ტრეფიკინგის შემთხვევების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ასევე სამართალდამცავთა საქმიანობა დანაშაულის პროაქტიულად გამოვლენისა და ტრეფიკიორთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორებზეც, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლებსა და დაზარალებულებს კონსულტაციებს უწევენ და დეტალურ ინფორმაციას აწვდიან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ მკაცრ პოლიტიკას აგრძელებს, პროაქტიულად ხორციელდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ყველა შესაძლო ფაქტზე

მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროკურორო ზედამხედველობა. 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 ტრეფიკიორის მიმართ.

2018 წელს პროკურორებისთვის განახლდა სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის შესახებ.

2018 წელს განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებთან მიმართებაში გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხებზე გამოცემული რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი და ანგარიში გასაჯაროვდა პროკურატურის ვებ-გვერდზე.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ შემდეგი უწყებები: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

2018 წელს ამერიკის საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით გაიმართა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფისა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების 2017-2018 წლების ანალიზი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა ტრეფიკინგის საქმეებში პრიორიტეტულად ხორციელდება.

2018 წელს ტრეფიკინგისა და საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის თემაზე ჩატარდა 14 სასწავლო აქტივობა. ასევე, განხორციელდა სასწავლო ვიზიტები ბუდაპეშტსა და სტოკჰოლმში. ამასთან, სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) ორგანიზებით განხორციელდა 2 გაცვლითი პროგრამა საქართველოს, საბერძნეთის და ბულგარეთის რესპუბლიკების მონაწილეობით. გაცვლითი პროგრამების ფარგლებში შედგა ორმხრივი ვიზიტები,

სადაც მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის მეთოდებსა და არსებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ;

2018 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებასა (თავშესაფარი) და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში. შეხვედრების მიზანი იყო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის აღნიშნული დაწესებულებების სამუშაო სპეციფიკის, დაზარალებულებისთვის/მსხვერპლებისთვის თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში არსებული სერვისებისა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობა.

2018 წელს პროექტ ,,საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში პროკურორებმა ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ 78 შეხვედრა გამართეს საქართველოს ყველა რეგიონში.

<u>ტერორიზმი</u>

თანამედროვე მსოფლიოსათვის ტერორიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. საქართველოში, როგორც ახლო აღმოსავლეთის მოსაზღვრე რეგიონში, აისახა „ისლამურ სახელმწიფოსთან" დაკავშირებული მოვლენების გავლენა. სამწუხაროდ, მან საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა შეიძინა, რომლებიც თურქეთის გავლით გადადიოდნენ სირიაში ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს" კონტროლირებად ტერიტორიაზე და იბრძოდნენ მის რიგებში. მიუხედავად იმისა, რომ „ისლამური სახელმწიფოს" გავლენა მნიშვნელოვნად შემცირებულია, მისგან გამომდინარე ნეგატიური პროცესები დღესაც უარყოფითად მოქმედებს ანტიტერორისტული მიმართულების კუთხით.

ჩვენს წინაშე წარმოიშვა ტერორისტული მიზნებისთვის როგორც საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გამგზავრების, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით შესაძლო გამოყენების პრობლემა. ამ კატეგორიის დანაშაულთა ანალიზმა ცხადყო, რომ ტეროტიზმის იდეოლოგიის პროპაგანდა და განმტკიცება, ხდება ინტერნეტის, სოციალური ქსელების და სხვადასხვა გზების მეშვეობით. რიგ შემთხვევაში ამავე ხერხით ხდება ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისაკენ მოწოდებაც. საქართველოს პროკურატურის და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების კოორდინირებული მუშაობის შედეგად, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯები გადაიდგა. მოხდა ზემოთხსენებული საქმიანობით დაკავებულ პირთა ქმედებების სამართლებრივი შეფასება და

მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ნოვაციურმა მიდგომამ და შესაბამისმა პრევენციულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა პირთა მიგრაცია, როგორც ე.წ. ,,ისლამურ სახელმწიფოში", ასევე სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებში. შემცირდა ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერთა რაოდენობაც და საქართველოში მათი გავლენები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ზემოთხსენებული მიდგომის დადებითი კონტექსტი აისახა ამ კატეგორიის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელშიც. კერძოდ, ტეროტისტული ორგანიზაცია ,,ისლამური სახელმწიფოს" წევრობისათვის 2015-2016 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 11 პირის მიმართ. ხოლო 2017-2018 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 3 პირის მიმართ.

რაც შეეხება მთლიანად ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებს, 2018 წლის 01 იანვრიდან 30 დეკემბრამდე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ. აქედან 7 პირის მიმართ უკვე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ერთი პირის მიმართ მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში.

ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით 2018 წელს, პროკურორებმა სხვა საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად გაიარეს სწავლება ტერორიზმის საქმეების გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის თემაზე. წლის განმავლობაში განხორციელდა 3 აქტივობა და სასწავლო კურსის ფარგლებში განიხილებოდა ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლა, სხვა ქვეყნებში და კონფლიქტის ზონებში მტკიცებულებების მოპოვების, საზღვრის უკანონოდ კვეთის და სხვა აქტუალური საკითხები.

<u>ორგანიზებული დანაშაული</u>

საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმის ,,ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლა, 2018 წლის 1 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად კრიმინალიზებული იქნა ისეთი ქმედებები როგორიცაა: ,,ქურდულ შეკრებაში" მონაწილეობა, ,,ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერა და ,,ქურდული სამყაროს" წევრისთვის/,,კანონიერი ქურდისთვის" მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება.

2018 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^{1}-ე, 223^{2} -ე, 223^{3} -ე და 223^{4}-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 49 პირის მიმართ. მათ შორის ,,ქურდული

სამყაროს“ წევრობისთვის 27 პირის, ,,კანონიერი ქურდობისთვის“ - 3 პირის, „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობისთვის 14 პირის, ქურდული სამყაროს“ საქმიანობითვის მხარდაჭერისთვის 5 პირის და ,,ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/,,კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება 2 პირის მიმართ.

რაც შეეხება წინა წლების მონაცემებს სისხლისსამართლებრივი დევნა 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა) 2016 წელს დაიწყო 9 პირის, ხოლო 2017 წელს 5 პირის მიმართ. 223 [1]-ე მუხლის მეორე ნაწილით (კანონიერი ქურდობა) კი 2016 წელს 10, ხოლო 2017 წელს 7 პირის მიმართ.

საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა აღნიშნული დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ არის საკმაოდ მკაცრი და ყველა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი იყო პატიმრობა, რაც სასამართლოს მიერ ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა.

2018 წელს გამოტანილი იქნა 11 განაჩენი, აქედან 8 გამამტყუნებელი და 3 გამამართლებელი.

<u>სამოხელეო დანაშაული</u>

2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 220 მოხელის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს თანამდებობაზე მუშაობდა 177 პირი, ხოლო 43 უკვე აღარ იკავებდა თანამდებობას.

დევნა დაწყებული 221 მოხელიდან:

- ✓ 84 პირი იყო საქართველოს შინაგანს საქმეთა სამინისტროს ყოფილი ან/და მოქმედი თანამშრომელი;
- ✓ 70 პირი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი;
- ✓ 16 პირი იყო საკრებულოს წევრი ან/და თანამშრომელი;
- ✓ 15 პირი იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელი;
- ✓ 14 პირი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი;
- ✓ 7 პირი იყო პენიტენციური სამსახური თანამშრომელი.



დევნადაწყებული 220 პირიდან დანაშაული 77% შემთხვევაში ჩადენილი იყო 2017-2018 წლებში.

მოხელეების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად, შემდეგი მუხლებით დაიწყო:



წინა წლებშიც, სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე (ქრთამის აღება), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) და 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლებით დაიწყო.

განრიდების მექანიზმი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაინერგა 2011 წლიდან. განრიდების მექანიზმის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის ჩამდენის პიროვნული მახასიათებლები და სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს.

განრიდების მექანიზმი გამოყენებული იქნა 40 მოხელის მიმართ. განრიდების მექანიზმი ძირითადად გამოყენებული იქნა შემდეგ დანაშაულებზე: 126-ე მუხლზე 23,2%, 341-ე მუხლზე 13,9 %, 332-ე მუხლზე 9,3%, 125-ე მუხლზე 6,9%, 276-ე მუხლზე 6,9% და სხვა დანარჩენ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე.

2018 წელს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 239 მოხელის მიმართ, ხოლო გამამართლებელი განაჩენი 21 მოხელის მიმართ.

გამამტყუნებელი განაჩენები ძირითადად შემდეგი დანაშაულების ჩადენისთვის არის გამოტანილი.



აღსანიშნავია, რომ 2018 წელს კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების თემაზე საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ 4 ტრენინგი, რომელშიც ჩართული

იყო 96 მუშაკი. სასწავლო აქტივობის ფარგლებში პროკურორები და სისტემის გამომძიებლები გაეცნენ კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების მეთოდებს. ასევე განხორციელდა 4 სასწავლო ვიზიტი, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ვიზიტი უნგრეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ბუდაპეშტში სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიაში (ILEA).

<u>უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია</u>

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეების ეფექტიანი გამოძიება. საქართველოს პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამმართველომ 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 5 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო 6 ფიზიკური პირის და 1 იურიდიული პირის მიმართ. გამამტყუნებელი განაჩენი კი 2018 წელს დადგა 17 პირი მიმართ.
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებზე, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების მიერ წარმოებულ ეფექტიან გამოძიებას ადასტურებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებებზე დადებული ყადაღების და ჩამორთმეული ქონებების მოცულობა.

საქართველოს პროკურატურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე ყადაღა იქნა დადებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ შემდეგ ქონებაზე:

- ✓ 2018 წელს - 17 522 495 ევრო, 21 183 776 აშშ დოლარი, 16 629 ლარი, 142 834 ფუნტ სტერლინგი და 6 357 835.91 აშშ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები (დაახლოებით 125 000 000 ლარი);

რაც შეეხება ჩამორთმეული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებების ოდენობას:

- ✓ 2018 წელს - 1 საცხოვრებელი ბინა, 7 ავტომანქანა, 690 000 ლარი, 199 975 ფრანკი, 37 899 აშშ დოლარი;

2018 წელს ფულის გათეთრების საქმეების ეფექტიანი გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე, საქართველოს პროკურატურის და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურორებმა და სისტემის გამომძიებლებმა ერთობლივი ტრენინგი გაიარეს. სასწავლო პროცესს უძღვებოდნენ ევროპის საბჭოს მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები. კურსი მოიცავდა ფულის გათეთრების საქმეების ეფექტიანი გამოძიების წარმოებას, მტკიცებულებების მოპოვებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციას და სხვა აქტუალურ საკითხებს. ტრენინგები თეორიულ

სწავლებასთან ერთად, დატვირთული იყო პრაქტიკული სავარჯიშოებით. ამასთან, 2018 წელს ფულის გათეთრების და კრიპტოვალუტის თემაზე განხორციელდა 2 სასწავლო ვიზიტი, რომელშიც საქართველოს პროკურატურიდან 5 მსმენელი მონაწილეობდა.

პროკურორთა პროფესიული გადამზადება და განვითარება

საქართველოს პროკურატურა 2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ორიენტირებული იყო თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და წელსაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა გამოძიების და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად.

<u>გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება</u>

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით:

საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა რაიონული და საოლქო პროკურატურების პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები, 2017 წლის ბოლოს კი მთავარი პროკურორის ბრძანებითვე დამტკიცდა პროკურატურის გამომძიებელთა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სისტემის საფუძველზე, 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა პროკურორთა მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება, შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით: პროკურორების დატვირთვის მაჩვენებლები, საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის ხარისხი, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი, ხელმძღვანელის შეფასება, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვა, ტრენინგებზე მიღწეული შედეგები და სხვა აქტივობები. შემოწმების შედეგებმა აჩვენა, რომ ძირითად შემთხვევებში, პროკურორთა მიერ შედგენილი დოკუმენტები, აგრეთვე სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი მაღალია და შეესაბამება შეფასების სისტემით დადგენილ მოთხოვნებს და სტანდარტს, თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით დღეისათვის არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც სამომავლოდ გამოსწორებას საჭიროებს. პროკურორთა მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას. რეკომენდაცია მიზნად ისახავს პროკურორებს მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია არსებული ხარვეზების და საქმიანობის პროცესში გასათვალისწინებელი საკითხების შესახებ. მითითებული გამოწვევების გათვალისწინება და დაძლევა გაზრდის პროკურორის მუშაობის ეფექტიანობას, ამასთან,

პოზიტიურად წაადგება პროკურატურის იმიჯს. გარდა რეკომენდაციისა, შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები გათვალისწინებული იქნება სამომავლო სასწავლო აქტივობების დაგეგმვის პროცესში, ხოლო პოზიტიური შედეგები მხედველობაში მიიღება პროკურორთა წახალისებისა და დაწინაურების საკითხის გადაწყვეტის დროს.

2018 წელს საქართველოს პროკურატურამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა EUROJUST-თან თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმების გაფორმების მისაღწევად. შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს პროკურატურა ინტენსიური თანამშრომლობის რეჟიმში იყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მართლმსაჯულების ორგანოებთან. EUROJUST-მა შეისწავლა საქართველოს სამართალდაცვით სფეროში პერსონალური მონაცემების დაცულობის თავსებადობა ევროკავშირის რეგულაციებთან. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს პროკურატურის საქმიანობა და სწორედ ამის შემდეგ იქნა მიღებული გადაწყვეტილება EUROJUST-ს და საქართველოს პროკურატურას შორის შეთანხმების გაფორმების თაობაზე. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნებს შესაძლებლობას მისცემს უფრო სწრაფად და ეფექტიანად ითანამშრომლონ დანაშაულის გამოძიების პროცესში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საშუალება იქნება საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულება. EUROJUST-თან ორმხრივი სამართლებრივი თანამშრომლობის გაღრმავება ასევე გულისხმობს ქართული მართლმსაჯულების სისტემის, მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლების და სამართლის სისტემის სხვა წარმომადგენელთათვის მაღალი სტანდარტების დაწესებას და ქართული მართლმსაჯულების სისტემის ევროპის მართლმსაჯულების სისტემაში ჩართვას.

2018 წელს საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირის დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის ოფისთან (EU AROS) და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (OLAF) თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. კერძოდ, საქართველოს პროკურატურაში განისაზღვრა აღნიშნულ ოფისებთან თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული დანაყოფი და გამოიყო კონკრეტული საკონტაქტო პირი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს პროკურატურას მათთან ურთიერთობაში. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს პროკურატურა ევროკავშირის დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის ოფისებს აქტიურად უზიარებდა ინფორმაციას საქართველოში არსებული დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის მექანიზმის და შესაბამისი საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ, აგრეთვე გამოხატავდა მზაობას პრაქტიკაში ამ შესაძლებლობების მათთან ეფექტიანად გამოყენების თაობაზე.

2016 წლის მარტიდან, კიბერდანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურამ მულტინაციონალური ინტერნეტ კომპანიებისგან მტკიცებულებად გამოსაყენებელი ელექტრონული მონაცემების მიღება პირდაპირ დაიწყო. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიებისგან მონაცემების მიღებას მხოლოდ რამდენიმე დღე სჭირდება. თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება ,,Facebook"-თან, ,,Apple"-თან და ,,Microsoft"-თან. ,,Facebook"-ის მიერ სახელმწიფოების თხოვნების დაკმაყოფილების მონაცემებით, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. 2018 წლის განმავლობაში საქართველოს პროკურატურიდან ,,Facebook" -ს გაეგზავნა 30 თხოვნა 54 მომხმარებელზე, საიდანაც 94 %ა დაკმაყოფილდა. 2018 წელს საქართველოს პროკურატურა მსოფლიოში თხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებლით მე-4 ადგილზე იყო. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის პირველი ნახევრისთვის ქვეყნების უმრავლესობის თხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო, ხოლო 80%-ზე მაღალი დაკმაყოფილების მაჩვენებელი მხოლოდ 17 სახელმწიფოს ჰქონდა, მათ შორის საქართველოს. საქართველოს პროკურატურა მუშაობს სხვა მსხვილ კომპანიებთანაც მსგავს თანამშრომლობაზე შეთანხმების მისაღწევად.

2018 წელს საქართველოს პროკურატურაში განხორციელდა 195 სასწავლო აქტივობა, რომლებშიც სისტემის თითქმის ყველა თანამშრომელი იყო ჩართული. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე:

სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი. ტრენინგზე განხილული იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლები, შიდა რეკომენდაციები, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით.

გამოხატვის თავისუფლების და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა. ტრენინგების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლეს საქმეებს და გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. ტრენინგი ევროსაბჭოსთან და ევროკავშირის პროექტთან თანამშრომლობით განხორციელდა.

ტრენერთა ტრენინგი სასწავლო პროგრამაში ლგბტ ქალთა საკითხების ინტეგრირების თემაზე, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები გაეცნენ ოჯახში ქალთა მიმართ და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებს, მასზე რეაგირების მექანიზმებს და ძალადობის მსხვერპლთან მუშაობის სპეციფიკას და თავისებურებებს. ასევე ჩატარდა ტრენინგი სამართალდამცავ ქალთა ლიდერობის უნარების განვითარების თემაზე.

პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლებისთვის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით, განხორციელდა ტრენინგი გენდერისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის თემაზე. სასწავლო კურსის ფარგლებში განხილული იყო: თანასწორობა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია, გენდერული ნიშნით ძალადობა, სექსუალური შევიწროების ფაქტები და მისი გავლენა დაზარალებულსა და საზოგადოებაზე. მსმენელებმა, ასევე, მიიღეს ინფორმაცია ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის და გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) შესახებ. ტრენერებად მოწვეულნი იყვნენ სახალხო დამცველის აპარატისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

სამართლებრივი მართლწერა. აღნიშნულ თემაზე სწავლების მიზანი საქართველოს პროკურატურაში სამართლებრივი მართლწერის ერთიანი სტანდარტის დანერგვა და საპროცესო დოკუმენტების შედგენის ხარისხის ამაღლებაა. სწავლება ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა.

პროფესიული ეთიკა და ინტერესთა შეუთავსებლობა. სწავლების მიზანს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის ეთიკის ახალი კოდექსის გაცნობა, პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე აქტუალური საკითხების და პრაქტიკული მაგალითების განხილვა წარმოადგენდა. ტრენინგები ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნარები. ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის არეალის გაფართოების პარალელურად, ეტაპობრივად ხდება პროკურორების გადამზადება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარების თემაზე. 2018 წელს განხორციელდა 7 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც 77-მა პროკურორმა გაიარა თეორიული და პრაქტიკული მომზადება - ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, შესავალი და დასკვნითი სიტყვის, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მიმართულებით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემაზე გამოცდილების და წარმატებული პრაქტიკის გაცნობის მიზნით, განხორციელდა 5 პროკურორის სასწავლო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2018 წელს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) ჩართულობით თბილისში ჩატარდა ქართველი პროკურორების და მოსამართლეების სამუშაო შეხვედრა ამერიკელ მოსამართლეებთან, სადაც მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და სამუშაო პრაქტიკა.

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნულ თემაზე პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლებისთვის განხორციელდა 8 ტრენინგი და 3 სასწავლო ვიზიტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნარკოტიკული და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

ბრძოლის თემაზე ჩატარებული რეგიონალური კონფერენცია, რომელშიც 11 ქვეყნის სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელი მონაწილეობდა. ღონისძიება ევროკავშირის პროექტის ,,ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (EUACT)“ ორგანიზებით განხორციელდა.

კიბერდანაშაული და ელექტრონული მტკიცებულებები. აღნიშნულ თემაზე ჩატარდა 7 სასწავლო აქტივობა. ტრენინგები ეხებოდა კიბერდანაშაულის საფრთხის შეფასებას, ელექტრონული მტკიცებულების შეგროვების და გამოყენების ძირითად პრინციპებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სწავლებები ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით ჩატარდა. ასევე აღსანიშნავია ,,კიბერდანაშაულის თემაზე განხორციელებული სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ ჰააგაში.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები და წინასწარი პატიმრობა. აღნიშნულ საკითხებზე, სწავლებები ჩატარდა საქართველოს პროკურატურის პროკურორების და სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების გამომძიებლებისათვის. მსმენელები გაეცნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სამართლებრივ ჩარჩოს, უსაფრთხოების სისტემის და საფრთხეების პრევენციიდან - სისხლისსამართლებრივ დევნაზე გადასვლის მეთოდებს, გერმანელი პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, წინასწარი პატიმრობის შეფარდების წინაპირობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სასწავლო აქტივობები საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით განხორციელდა.

ორგანიზაციის მართვა. აღნიშნული ტრენინგი საქართველოს პროკურატურის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯმენტისთვის განხორციელდა. სწავლება ორეტაპიანია. პირველ ეტაპზე მენეჯერებს ტრენინგები ჩაუტარდათ შემდეგ საკითხებზე: ორგანიზაციის მართვა, ორგანიზაციული კულტურის ძირითადი მახასიათებლები, ლიდერობა, გუნდი და გუნდური მუშაობა, თანამშრომელთა მოტივაცია, სამუშაოს დელეგირება, შესრულების კონტროლი, უკუკავშირის ტექნიკები, სტრესთან ბრძოლის მეთოდები და ემოციური ინტელექტის როლი მართვის პროცესში. ხოლო მეორე ეტაპზე სწავლებები განხორციელდება საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით რომლებიც დაფარავენ სტრატეგიულ მენეჯმენტს, ცვლილებების მართვას, დროის მართვასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. პროექტი ევროკავშირთან თანამშრომლობით ხორციელდება.

2018 წელს საქართველოს პროკურატურის და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თემაზე მომზადდა სპეციალური სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო საქართველოს პროკურატურის პროკურორების, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა და იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მექანიზმებს, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კრიტერიუმებს, სასჯელის სახეებს, სისხლის სამართალწარმოების ალტერნატიულ მექანიზმებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს. სახელმძღვანელოს პრაქტიკაში სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა გაიარეს სწავლება. ახალი რეკომენდაციები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენების მაჩვენებლების გაზრდას. სასწავლო კურსები ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა.

2018 წელს არსებითად განახლდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა, რომელიც 2019 წლიდან ამოქმედდება.

აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის და შეფარდების პრობლემურ საკითხებზე საქართველოს პროკურატურის პროკურორების, საერთო სასამართლოებოს მოსამართლეების და ადვოკატთა ასოციაციის წევრების მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა იმსჯელეს აღკვეთის ღონისძიებების შესახებ შუამდგომლობების წარდგენის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, გასაჩივრებისა და სხვა აქტუალურ თემებზე. სამუშაო შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა, როგორც ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოსა და პრაქტიკაზე, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებსა და ყოველდღიურ სამუშაო პროცესში მათი გამოყენების მნიშვნელობაზე. ღონისძიება ევროკავშირის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

საქართველოს პროკურატურის პროკურორების და საერთო სასამართლოების მოსამართლეების ჩართულობით ერთობლივი შეხვედრა გაიმართა სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე. შეხვედრა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა საერთაშორისო აკრედიტაციის მნიშვნელობა თანამედროვე სასამართლო-საექსპერტო ლაბორატორიისთვის და ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობა, არსებული პრაქტიკა და სხვა. შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა.

ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის თემაზე (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კუთხით) პროკურორებისა და გამომძიებლების ჩართულობით

განხორციელდა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ბავშვთა და ქალთა მიმართ, ოჯახში და გენდერული ძალადობის აღკვეთის საქმეში პროკურორების ჩართულობის, ძირითადი გამოწვევების და პრობლემების დაძლევის გზების განსაზღვრა. შეხვედრაზე მოხდა ასევე, მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობის საკითხების განხილვა.

2018 წელს საქართველოს პროკურატურის და ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტთან თანამშრომლობით შემუშავდა და დაინერგა ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის ელექტრონული პროგრამა, რომელშიც ჩართულია პროკურატურის ყველა თანამშრომელი. ტრენინგ საჭიროებათა ელექტრონული პროგრამაში, ყველა თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა დააფიქსიროს მისთვის საჭირო და სასურველი ტრენინგი. შესაბამისად, პროგრამა იძლევა შესაძლებლობას მაქსიმალურად ზუსტად მოხდეს მომდევნო წლის განმავლობაში განსახორციელებელი სასწავლო პროგრამების ერთიანი გეგმის შედგენა, რომელიც პირდაპირ პასუხობს წარმოდგენილ მოთხოვნებს.

2018 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე. აღნიშნული პროგრამის მიზანია საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის მნიშვნელოვანი ელექტრონული სახელმძღვანელოების, მასალების, სასამართლოს გადაწყვეტილებების, შიდა რეკომენდაციების, სასარგებლო ბმულებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გაერთიანება მოხდეს ერთ სივრცეში, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება სისტემის ნებისმიერი თანამშრომლისათვის. ამასთან, წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება ელექტრონული ბიბლიოთეკის LexisNexis-ის გამოყენებაზე, რომლის საშუალებითაც პროკურატურის თანამშრომლებს აქვთ წვდომა შესაბამის პროფესიულ ლიტერატურაზე.

გარდა აღნიშნულისა, გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით, შემუშავდა სხვადასხვა შიდა რეკომენდაციები, რომლებსაც პროკურორები აქტიურად იყენებენ ყოველდღიურ საქმიანობაში.

<u>ადამიანური რესურსები</u>

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა **848** თანამშრომელი, მათ შორის - **325** ქალი. 848 თანამშრომლიდან პროკურორი არის 420 (მათ შორის 125 ქალი), გამომძიებელი - 93 (მათ შორის 8 ქალი), სტაჟიორ-პროკურორი - 60 (მათ შორის 30 ქალი), პროფესიული საჯარო მოხელე - (მრჩევლები, კოორდინატორები, კანცელარიის უფროსები,

სპეციალისტები) - 136 (მათ შორის 116 ქალი), ხელშეკრულებით მიღებული პირი - 139 (მათ შორის 46 ქალი).

მენეჯერულ პოზიციას იკავებს 127 თანამშრომელი, მათ შორის 13 - ქალი. მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი 13 ქალიდან 1 არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი, 2 დეპარტამენტის უფროსი, 1 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 7 სამმართველოს უფროსი და 2 რაიონული პროკურორის მოადგილე.

2018 წელს მომაუშავე 420 პროკურორიდან 241 პროკურორი და 93 გამომძიებლიდან 45 გამომძიებელი სტაჟირების სისტემით არის დანიშნული თანამდებობაზე.

2017 წლის 15 მაისს საქართველოს პროკურატურამ გამოაცხადა სტაჟიორების შესარჩევი ახალი კონკურსი. კონკურსზე განაცხადი შემოიტანა 1315 პირმა, რომელთაგან 60-მა წარმატებით გაიარა კონკურსის სამივე ეტაპი (ტესტირება სპეციალობაში, ტესტირება ზოგად უნარებში და გასაუბრება), ასევე ორთვიანი სწავლების ინტენსიური კურსი და 2018 წლის თებერვალში დაინიშნენ სტაჟიორ-პროკურორებად პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში.

2018 წელს ახალი კადრების პროფესიული განვითარებისა და სისტემაში ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგა მენტორობის პროგრამა. 2018 წლიდან, საქართველოს პროკურატურაში წინასწარ შერჩეული და მომზადებული მენტორები ჩაერთნენ სტაჟიორების პროფესიული განვითარების პროცესში. მენტორობის პროგრამის მიზანი არის რომ, პროკურატურის სისტემის გამოცდილი თანამშრომლების მხარდაჭერით, სტაჟიორებმა შეძლონ პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნის მიღება, საჭირო უნარების განვითარება და პრაქტიკულ გამოწვევებთან გამკლავება. შერჩეული მენტორების მომზადების მიზნით 2018 წლის პირველ ნახევარში, ჩატარდა 2 ტრენინგი, რომლის ფარგლებში სწავლება გაიარა 46-მა მენტორმა. მენტორების პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით განხორციელდა.

<u>საკონსულტაციო საბჭო</u>

საქართველოს პროკურატურის განვითარებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხების, პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურების და დისციპლინურ საკითხთა განხილვის მიზნით ფუნქციონირებდა საკონსულტაციო საბჭო.

2018 წელს ჩატარდა საკონსულტაციო საბჭოს ექვსი სხდომა, რომლის ფარგლებშიც საბჭომ განიხილა 214 თანამშრომლის საკითხი. საკონსულტაციო საბჭოს წასახალისებლად წარედგინა 168 თანამშრომელი, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია 77 მუშაკის წახალისება. 2018 წელს საბჭომ განიხილა 22 თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია 18 მუშაკის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენება. საქართველოს პროკურატურის სისტემაში არსებულ სხვადასხვა ვაკანტურ მენეჯერულ თანამდებობაზე გამოცხადდა შიდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და საკონსულტაციო საბჭოს წარედგინა 24 თანამშრომლის დაწინაურების საკითხი, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია და მთავარ პროკურორს მისცა რეკომენდაცია 10 მუშაკის დაწინაურებაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარმა პროკურორმა საბჭოს ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საჯარო სამსახურის სისტემაში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურაშიც დაინერგა შეფასების ახალი სისტემა და 2018 წლის დეკემბერში შეფასება ჩაუტარდათ პროკურატურის პროფესიულ საჯარო მოხელეებს.

<u>გენერალური ინსპექცია</u>

მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციაში 2018 წელს ჩატარდა 66 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 112 თანამშრომლის მიმართ.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოკვეთილი დისციპლინური გადაცდომების გათვალისწინებით დისციპლინური სახდელი დაეკისრა 7 თანამშრომელს. მათ შორის შენიშვნა გამოეცხადა 3 თანამშრომელს, საყვედური 2 თანამშრომელს, პროკურატურის სისტემიდან დათხოვილი იქნა 2 თანამშრომელი. სამსახურებრივი შემოწმების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაციით მიემართა 23 თანამშრომელს, ხოლო 4 თანამშრომელი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა პროკურატურის სისტემიდან;

32 თანამშრომლის მიმართ სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა კი წარდგენილია პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით არსებული გენერალური პროკურორის

მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთვის.

2018 წელს საქართველოს პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 18 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა 4 პირის მიმართ. მათ შორის 1 პროკურორის, 1 თარჯიმნის და 2 მოქალაქის მიმართ (ერთმა დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა პროკურატურის მუშაკის სახელით, ხოლო მეორემ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლის მიმართ). 2018 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 4 პირის (ერთი პროკურორის და სამი მოქალაქის) მიმართ.